

FAR/18-24

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმო“  
ფინანსური ანგარიშგება  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად  
2023 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისთვის  
ინგლისური ორიგინალის თარგმანი

**სარჩევი**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 1-3

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 4

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება..... 5

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება ..... 6

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ..... 7

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-გამართებითი შენიშვნები ..... 8-64

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას

### მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩავატარეთ სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმის“ (შემდგომში კომპანია) ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმის“ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანია ინფორმაციას რომლებიც დაკავშირებულია დებიტორული დავალიანებების რაოდენობასთან და ოდენობასთან, ვადადამდგარ და ვადაგადაცხილებულ დღეებთან და სხვა საჭირო ინფორმაციასთან, ინახავს ცალკეულ მონაცემთა ბაზებში, ეს ინფორმაცია საჭიროა სადაზღვევო პრემიის დებიტორული დავალიანების სწორი გაზომვისა და შეფასებისთვის. ჩვენ ვერ შევძელით ამ მონაცემთა ბაზების დაკავშირება და შემდგომში ჩვენი ალტერნატიული პროცედურებიც ვერ გვაძლევს გონივრულ საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეს ანგარიშების მუხლები ბუსტად იზომება და ფასდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აგრეთვე ჩვენ ვერ მივიღეთ, საკმარისი აუდიტორული შტკიცებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული რეზერვების შესახებ, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2,169,114 (2022: 1,701,684) ლარია. ჩვენი მოსაზრება მოდფიცირებულია აღნიშნულ საკითხებზე, რადგან ჩვენ ვერ დავადგინეთ, იყო თუ არა საჭირო რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სადაზღვევო რეზერვებთან ან მათ შეფასებასთან და სადაზღვევო პრემიის დებიტორული დავალიანების სისრულესთან დაკავშირებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლებრივი დავების მოსალოდნელი შედეგი 611,749 (2022: 716,496) ლარის ოდენობით. ჩვენ ვერ მოვახერხეთ საკმარისი, შესაბამისი აუდიტორული შტკიცებულების მოპოვება იმის შესახებ, უნდა შეფასდეს თუ არა ამ სამართლებრივი დავების შედეგი, როგორც პირობითი ვალდებულებები, ან აღრიცხოს როგორც ხარჯები და რეზერვები. ამის გამო ჩვენ ვერ დავადგინეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა რეზერვისა და ამ ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### *სხვა ინფორმაცია*

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ვვარაუდობთ, რომ მმართველობითი ანგარიშში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარნუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენ ჩავატარებთ გარკვეულ პროცედურებს, რომლებიც საჭირო იქნება კომპანიის მმართველობითი ანგარიშის საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან შესაბამისობის დასადგენად და მოსაზრება მასთან დაკავშირებით გაიცემა ცალკე.

### *ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე*

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

**აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**


ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადანაწევტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მინოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ABC კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვანვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

15 მაისი, 2024  
შპს არესემ საქართველოს სახელით  
გარიგების პარტნიორი: ალი მურტბა (SARAS-A-577214)




სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	2023	2022 გადაანგარშებული
სადაზღვევო ამონაგები	4	11,327,945	7,860,953
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	5	(11,282,074)	(7,433,620)
<b>სადაზღვევო მომსახურების შედეგი გადაზღვევამდე</b>		<b>45,871</b>	<b>427,333</b>
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი	4	3,107,404	622,301
გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები	5	(4,776,582)	(2,920,675)
<b>გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული წმინდა ხარჯები</b>		<b>(1,669,178)</b>	<b>(2,298,374)</b>
<b>განული სადაზღვევო მომსახურების შედეგი</b>		<b>(1,623,307)</b>	<b>(1,871,041)</b>
წმინდა ფინანსური შემოსავალი	6	389,356	127,867
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი, წმინდა		(164,063)	(825,480)
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი		(24,220)	(14,361)
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი გადაზღვევის ხელშეკრულებებიდან		-	-
<b>წმინდა ფინანსური შედეგი</b>		<b>201,073</b>	<b>(711,974)</b>
სხვა შემოსავალი		13,042	(2,467)
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>		<b>(1,409,192)</b>	<b>(2,585,482)</b>
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
<b>წმინდა მოგება</b>		<b>(1,409,192)</b>	<b>(2,585,482)</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>(1,409,192)</b>	<b>(2,585,482)</b>

  
 მარეხი გურული  
 გენერალური დირექტორი

  
 სოფიკო უჯვარია  
 ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	გადაანგარიშებული 31.12.2022	გადაანგარიშებული 01.01.2022
<b>აქტივები</b>				
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	1,216,774	366,856	236,948
საბანკო დანესებულებებში	8	8,620,264	7,675,481	7,745,105
განთავსებული დეპოზიტები				
გადაზღვევის კონტრაქტებიდან	9	1,007,333	170,777	-
წარმომშობილი აქტივები				
სხვა აქტივები	10	350,236	281,906	314,589
აქტივის გამოყენების უფლება	11	134,023	334,508	477,538
არამატერიალური აქტივები		84,771	111,631	145,962
ძირითადი საშუალებები	12	415,231	403,552	427,545
		<b>11,828,632</b>	<b>9,344,711</b>	<b>9,347,687</b>
<b>კაპიტალი</b>				
სააქციო კაპიტალი	15	15,490,640	12,991,287	10,891,468
გადაფასების რეზერვი		132,983	132,983	132,983
გაუნაწილებელი მოგება		(7,527,260)	(6,118,068)	(3,532,586)
		<b>8,096,363</b>	<b>7,006,202</b>	<b>7,491,865</b>
<b>ვალდებულებები</b>				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან	13	2,967,456	1,424,575	464,668
წარმომშობილი ვალდებულებები				
გადაზღვევის კონტრაქტებიდან	9	-	-	5,329
წარმომშობილი აქტივები				
საიჯარო ვალდებულებები	11	115,693	306,626	575,333
სხვა ვალდებულებები	14	649,120	607,308	810,492
		<b>3,732,269</b>	<b>2,338,509</b>	<b>1,855,822</b>
		<b>11,828,632</b>	<b>9,344,711</b>	<b>9,347,687</b>

მარეხი გურული  
გენერალური დირექტორი


სოფიკო ეფენია  
ფინანსური დირექტორი

სს „სადამღვევო კომპანია პრაიმი“


ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
2021 წლის 31 დეკემბერი	10,891,468	(3,601,622)	132,983	7,422,829
ფასს17-ის კორექტირება		69,036		69,036
2021 წლის 31 დეკემბერი	10,891,468	(3,532,586)	132,983	7,491,865
წლის წმინდა მოგება	-	(2,585,482)	-	(2,585,482)
ფულადი შენატანი კაპიტალში	2,099,819	-	-	2,099,819
2022 წლის 31 დეკემბერი	12,991,287	(6,118,068)	132,983	7,006,202
წლის წმინდა მოგება	-	(1,409,192)	-	(1,409,192)
ფულადი შენატანი კაპიტალში	2,499,353	-	-	2,504,967
2023 წლის 31 დეკემბერი	15,490,640	(7,527,260)	132,983	8,096,363

  
მარეზი გურგულიძე

გენერალური დირექტორი

  
სოფიკო გოგენია

ფინანსური დირექტორი



სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

	<b>2023</b>	<b>2022</b>
<b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
მიღებული სადაზღვევო ამონაგები	10,120,284	7,136,777
გადახდილი სადაზღვევო მომსახურების ხარჯი	(7,821,273)	(4,754,390)
მიღებული გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შემოსავალი	305,045	12,372
გადახდილი გადაზღვევის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები	(167,901)	(150,532)
მიღებული სხვა შემოსავალი	24,289	-
გადახდილი შრომის ანაზღაურება	(1,569,541)	(1,525,209)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(630,258)	(946,700)
გადახდილი საბანკო ხარჯები	-	(5,473)
გადახდილი იჯარა	(38,246)	(11,852)
გადახდილი საკანცელარიო ხარჯი	-	(23,244)
გადახდილი კონსულტანტების და აუდიტორების მომსახურება	(78,480)	(149,590)
გადახდილი საკომუნიკაციო ხარჯები	(84,773)	(48,498)
გადახდილი მარკეტინგის და რეკლამის ხარჯები	(58,218)	(30,810)
გადახდილი სხვა ხარჯები	(633,488)	(709,164)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები, წმინდა</b>	<b>(632,560)</b>	<b>(1,206,313)</b>
<b>ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b>		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(79,219)	(46,196)
საბანკო დანესვებულებებში განთავსებული დეპოზიტები	(1,032,613)	(476,023)
დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტები	414,137	161,295
არამატერიალური აქტივების შეძენა	(14,659)	(2,832)
<b>საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები, წმინდა</b>	<b>(712,354)</b>	<b>(363,756)</b>
<b>ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>		
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა	(223,660)	(315,559)
სააქციო კაპიტალის ზრდა	2,499,368	2,099,819
<b>საფინანსო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი სახსრები, წმინდა</b>	<b>2,275,708</b>	<b>1,784,260</b>
<b>ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი</b>	<b>(80,876)</b>	<b>(84,283)</b>
<b>ფულადი სახსრების წმინდა ზრდა</b>	<b>849,918</b>	<b>129,908</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში</b>	<b>366,856</b>	<b>236,948</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>	<b>1,216,774</b>	<b>366,856</b>

მარეზი გურული

გენერალური დირექტორი

სოფიკო ეფენია

ფინანსური დირექტორი

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## 1. ზოგადი ინფორმაცია

სს სადაზღვევო კომპანია პრაიმი (ს/კ 204540274) (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2007 წელს. კომპანია იმართება სათაო ოფისიდან და აქვს ოთხი სერვისცენტრი ბათუმში, თელავში, ფოთსა და თბილისში. კომპანია ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას. კომპანია ფლობს ორი სახის დაზღვევის ლიცენზიას: სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის პროდუქტებისთვის, რომლებიც გაცემულია დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, უნივერსიტეტის ქუჩა, N24, სართული 6, სადარბაზო 1, ოფისი N6.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დამფუძნებელი და სააქციო კაპიტალის 95%-იანი წილის მფლობელია შპს „MERCURY EUROPE HOLDINGS“ (ს.ნ. B 165504, მისამართი: ემილი როიტერის გამზირი N11, L-2420, ლუქსემბურგი), ხოლო 5% წილს ფლობს სხვა არამაკონტროლებელი აქციონერი.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის დამფუძნებელი და სააქციო კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „MERCURY EUROPE HOLDINGS“ (ს.ნ. B 165504, მისამართი: ემილი როიტერის გამზირი N11, L-2420, ლუქსემბურგი).

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის ალია ბაბაევა შპს „MERCURY EUROPE HOLDINGS“ მფლობელი (აზერბაიჯანი).

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

### 2.1 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი სანარმოს პრინციპის დაშვებით ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად, რაც წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის („ბასსკ“) მიერ გამოცემული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბერს.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლები წარმოდგენილია ლიკვიდურობის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში. ისტორიული ღირებულება ეფუძნება აქტივების სანაცვლოდ მიღებულ ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა რომლითაც აქტივი შეიძლება გაიყვალოს, ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე, გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების დასადგენად კომპანია მაქსიმალურად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება არ არის უშუალოდ დაკვირვებადი, ის შეფასებულია კომპანიის მიერ (კვალიფიციურ შემფასებელთან) შეფასების ტექნიკის გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად გაზრდის შესაბამისი დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებას და მინიმუმამდე დაყვანს დაუკვირვებადი მონაცემების გამოყენებას (მაგალითად: ბაზრის შესადარებელი მიდგომას გამოყენებას, რომელიც ასახავს ბოლო ტრანზაქციის ფასებს მსგავსი ნივთებისთვის, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს ან ოფციონის ფასების მოდელს, რომლებიც ითვალისწინებს ემიტენტის სპეციფიკური გარემოებების ასახვისთვის).

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გამოყენებული მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები გაითვალისწინებენ.

### 2.1.1 2023 წლის I იანვრის შემდეგ ძალაში შესული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

შემდეგი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში გამოიწვია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ

სტანდარტი	სათაური	ძალაში თარიღი	შესვლის თარიღი
ბასს 1	სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენა - შესწორებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2	2023 წლის 1 იანვარი	
ბასს 8	სააღრიცხვო შეფასებების განმარტება - შესწორებები ბასს 8-ში	2023 წლის 1 იანვარი	
ბასს 12	გადავადებული გადასახადი დაკავშირებული ერთი ტრანზაქციიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან ბასს 12-ის შესწორება	2023 წლის 1 იანვარი	
ფასს 17	სადაზღვევო ხელშეკრულებები	2023 წლის 1 იანვარი	

გემოაღნიშნული სტანდარტები დანერგულია კომპანიის მიერ და არ ქონიათ მატერიალური გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, გარდა „ფასს 17 – „სადაზღვევო ხელშეკრულებებისა“.

გარდა ამისა, კომპანიამ ფასს-17-თან ერთად დანერგა ფასს 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“. კომპანიამ დანერგა ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები, რამაც გამოიწვია ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ცვლილება და წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება. კომპანიამ აღიარა დამატებითი გაუფასურების რეზერვი მოსალოდნელ პრემიასა და გადაზღვევიდან მისაღებ თანხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შესაბამისად.

#### გამოცემული მაგრამ ძალაში არ შესული სტანდარტები

ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების გავლენა, რომლებიც გამოიწვია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, წარმოდგენილია ქვემოთ. კომპანია აპირებს მიიღოს ეს შესაბამისი სტანდარტები, როდესაც ისინი ძალაში შევა.

სტანდარტული ნომერი	სათაური	ძალაში შესვლის თარიღი
ბასს 1	შესწორებები ბასს 1-ში – გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით	2024 წლის 1 იანვარი
ფასს 16	შესწორებები ფასს 16-ში – იჯარა და უკუიჯარა	2024 წლის 1 იანვარი

### 2.2 გადასვლის გავლენა

კომპანიამ აღიარა ფასს 17-ზე გადასვლის რეზერვები და ამ სტანდარტის დანერგვის ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 წლის 1 იანვარსა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

31 დეკემბერი 2022	ფასს-17-მდე	ფასს-17 შემდეგ	გავლენა
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	1,511,353	1,424,575	(86,778)
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	180,307	170,777	(9,530)
<b>კაპიტალზე გავლენა</b>			<b>(96,309)</b>

1 იანვარი 2022	ფასს-17-მდე	ფასს-17 შემდეგ	გავლენა
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	533,704	464,668	(69,036)
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	(5,329)	(5,329)	-
<b>კაპიტალზე გავლენა</b>			<b>(69,036)</b>

## მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

### 2.3 ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები

ფასს 17 – „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ადგენს აღიარების, შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გამჟღავნების პრინციპებს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის და დისკრეციული მონაწილეობის პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებებისთვის. მოდელი აფასებს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფებს, მომავალი ფულადი ნაკადების, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ ხელშეკრულებების შესრულებისას, დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რისკის კორექტირება არაფინანსური რისკისთვის და სახელშეკრულებო მომსახურების მარჯა.

ფასს 17-ის მიხედვით, სადაზღვევო ამონაგები ყოველ საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს ცვლილებებს ვალდებულებებში დარჩენილი პერიოდებისთვის, რაც ეხება ისეთ მომსახურებას, რომლისთვისაც კომპანია ელოდება ანაზღაურებას და პრემიების განაწილებას, რომელიც დაკავშირებულია აკვიზიციის ხარჯის დაბრუნებასთან. გარდა ამისა, საინვესტიციო კომპონენტები აღარ შედის სადაზღვევო ამონაგებსა და სადაზღვევო მომსახურების ხარჯებში.

კომპანია იყენებს PAA-ს არასასიცოცხლო სეგმენტში ხელშეკრულებების შეფასების გასამარტივებლად. როცა ვალდებულებების გაზომვა ხდება დარჩენილი პერიოდისთვის, PAA მსგავსია კომპანიის წინა სააღრიცხვო მიდგომისთან. თუმცა, როცა ხდება ვალდებულებების შეფასება მომხდარი ზარალებისთვის, კომპანია მომავალი ფულადი ნაკადების დიკონტირებას ახდენს (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსალოდნელია რომ მოხდება ერთ წელში ან ნაკლებში თარიღიდან, როცა ზარალი მოხდა) და მოიცავს არაფინანსური რისკის კორექტირებას.

ფასს 17 ცვლის ფასს 4-ს 2023 წლის 1 იანვარს შემდეგ. კომპანიას აქვს გადაანგარიშებული შესადარისი ინფორმაცია ფასს 17-ის გარდამავალი დებულების გამოყენებით.

### 2.4 აღიარება

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

აღიარების მოთხოვნები ოდნავ განსხვავდება გაცემული ხელშეკრულებისა და დადებული ხელშეკრულებისთვის. გაცემული ხელშეკრულების ჯგუფებისთვის ჯგუფი უნდა იყოს აღიარებული, შემდეგი თარიღებიდან ყველაზე ადრინდელი თარიღისთვის:

სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი;

თარიღი, როცა პოლისის მფლობელის გადასახადი გახდება ვადაგადაცილებული; და

ზარალიანი ხელშეკრულებების ჯგუფისთვის, როცა ჯგუფი გახდება ზარალიანი.

საწარმომ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებების ჯგუფი უნდა აღიაროს შემდეგი თარიღებიდან უფრო ადრინდელი თარიღისთვის:

- გადაზღვევის პერიოდის დასაწყისიდან;
- თარიღი როცა კომპანია აღიარებს წაგებიანი ხელშეკრულებების ჯგუფს, იმ პირობით, რომ
- გადაზღვევის ხელშეკრულება ძალაში იყო ამ თარიღში ან ამ თარიღამდე.

გემოაღნიშნული პირველი პუნქტის მიუხედავად, დადებული პროპორციული გადაზღვევის ხელშეკრულებები აღიარება უნდა გადაიდოს ამ გადაზღვევის ხელშეკრულების ფარგლები მოქცეული პირველი ხელშეკრულების აღიარებამდე.

#### სადაზღვევო ხელშეკრულებების აგრეგირების დონე

აგრეგირების დონე ეხება ფასს 17-ის მიხედვით ასაღიარებელ ერთეულს. ფასს 17-ის მიხედვით ასაღიარებენ ერთეულს მოიხსენიებენ, როგორც „ხელშეკრულებათა ჯგუფს“ და მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია აგრეგირების დონესთან, ადგენს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ჯგუფები.

სტანდარტმა დაადგინა შემდეგი მოთხოვნები ხელშეკრულებების ჯგუფის დასადგენად:

პორტფელი - ხელშეკრულებები, რომლებსაც აქვთ მსგავსი რისკები და იმართება ერთად იმართება, შეიძლება ერთად დაჯგუფდეს.

მომგებიანობა - ხელშეკრულებები მსგავსი მოსალოდნელი მომგებიანობით (დანყებისას ან თავდაპირველი აღიარებისას) შეიძლება დაჯგუფდეს.

ამ მიზნით, სტანდარტმა მოითხოვა მინიმუმ შემდეგი სამი კლასიფიკაცია, თუმცა ნებადართულია უფრო დეტალური კლასიფიკაციის გამოყენებაც:

ხელშეკრულებების ჯგუფი, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წაგებიანია, ასეთის არსებობისას;

ხელშეკრულებების ჯგუფი, რომელსაც თავდაპირველი აღიარებისას არ აქვს მნიშვნელოვანი ალბათობა იმისა, რომ შემდგომში გახდება წაგებიანი; და

პორტფელში შემავალი დანარჩენი ხელშეკრულებების ჯგუფი.

#### კოპორტები

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

12 თვეზე მეტი ვადით გაცემული კონტრაქტები არ შეიძლება დაჯგუფდეს ერთად. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში ნებადართულია ერთჯერადი გამარტივება კონტრაქტებისთვის, როგორც გარდამავალ პერიოდში.

ზემოაღნიშნული საში მოთხოვნის უნიკალური კომბინაცია ქმნის კონტრაქტების ჯგუფს, ანუ კონტრაქტები ერთი და იგივე პორტფელით, იგივე მოსალოდნელი მომგებიანობით და იმავე წელს გამოშვებული შეიძლება დაჯგუფდეს ერთად. ეს დაჯგუფება მუდმივია და არ შეიძლება შეიცვალოს მინიჭების შემდეგ. მიუხედავად იმისა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები პირველადი აღიარების შემდეგ. მაგალითად, დროთა განმავლობაში, ერთეულმა შეიძლება გააცნობიეროს, რომ ხელშეკრულება, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას წამგებიანად ითვლებოდა, მსგავსი არ აღმოჩნდა მაგრამ თავიდან დაჯგუფება არ არის ნებადართული.

## 2.5 შეფასების მოდელები

გაზომვის მოდელი, გამარტივებული მიდგომით, ეხება სადაზღვევო კონტრაქტის აქტივებისა და ვალდებულებების და მასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების გამოთვლის საფუძველს ან მეთოდოლოგიების ერთობლიობას. ფასს 17-მა წარმოადგინა შემდეგი საში შეფასების მოდელი:

### პრემიების განაწილებაზე დაფუძნებული მიდგომა ("PAA")

PAA არის არჩევითი გამარტივებული მიდგომა, რომელსაც კომპანიას შეუძლია გამოიყენოს 12 თვემდე დაფარვის ხელშეკრულებებზე ან იმ ხელშეკრულებებზე რომელთა დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება არ იქნება განსხვავებული PAA-სა და GMM-ის მეთოდების გამოყენებისას. გამოთვლების თვალსაზრისით, ძირითადი გამარტივება ეხება დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებას (LRC-ს).

PAA-ს მიხედვით, არ არის საჭირო პრემიის თითოეული კომპონენტის ცალ-ცალკე განხილვა. ამის ნაცვლად შეიძლება წარდგენა მოხდეს ერთი ვალდებულებად. ნებისმიერი შეფასების თარიღისთვის PAA-ს ქვეშ მყოფი ვალდებულების კომპონენტები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

#### დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება ("LRC")

- გარდა ზარალის კომპონენტისა
- ზარალის კომპონენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში

#### დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება ("LIC")

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება
- რისკის კორექტირება
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებების დისკონტირება

კომპანიის ყველა მოკლევადიანი გარიგება ექვემდებარება ამ გამარტივებას და კომპანიამ მიიღო ეს გამარტივება შესაბამის შემთხვევებში. PAA-ს მიხედვით, ზარალის კომპონენტი და ზარალის რეზერვები მოითხოვს რისკის კორექტირებას, რაც გაზრდის ვალდებულებებს, ხოლო დისკონტირება ზოგადად შეამცირებს ვალდებულებებს. PAA-ს წმინდა ეფექტი დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა რისკის კორექტირება მეტი დოსკონტირების ეფექტზე ან გადავადებული ხარჯების ეფექტზე, რომ ამჟამად არ არის გადავადებული.

### ზოგადი შეფასების მოდელი ("GMM")

GMM არის ძირითადი მოდელი და გამოიყენება ყველა კონტრაქტზე, რომლებზედაც არ ვრცელდება პრემიის განაწილების მიდგომა ("PAA") და ცვლადი საფასურის მიდგომა ("VFA"). GMM ეფუძნება წინაპირობას, რომ

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

პრემიები სადაზღვევო კონტრაქტებიდან მოიცავს გარკვეულ კომპონენტებს (როგორცაა ბარალები, ხარჯები და მოგება) და რომ თითოეული კომპონენტი უნდა იყოს გათვალისწინებული მისი არსის მიხედვით. ვალდებულება GMM-ის მიხედვით შეფასების ნებისმიერი თარიღისთვის მოიცავს შემდეგს:

დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულება ("LRC")

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება
- რისკის კორექტირება
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებების დისკონტირება
- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა ("CSM")

დამდგარი სადაზღვევო შემთხვევებიდან წარმოშობილი ვალდებულება ("LIC")

- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასება
- რისკის კორექტირება
- მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებების დისკონტირება

ცვალებადი საზღაურის მიდგომა ("VFA")

VFA არის სავალდებულო ცვლილება ხელშეკრულებებში პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლებით. კონტრაქტი არის ხელშეკრულება პირდაპირი მონაწილეობით, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- სახელშეკრულებო პირობები აზუსტებს, რომ დამზღვევი მონაწილეობს ძირითადი ელემენტების მკაფიოდ გამოვლენილ ჯგუფში.
- კომპანია მოელის, რომ გადაუხადოს დამზღვევს სამართლიანი ღირებულების უკუგების ტოლ თანხას.
- კომპანია მოელის, რომ გადაუხადოს დამზღვევს სამართლიან ღირებულებაში ცვლილებით დაკორექტირებულ თანხას.

VFA -ის მიდომით აღიარებული ვალდებულების კომპონენტები იგივეა, რაც GMM-ით და მათი გამოთვლებიც საკმაოდ მსგავსია გარდა CSM-ის ნაწილისა. VFA-ს მიხედვით, CSM-ის გამოთვლები ასახავს ცვალებადობას, რომელიც დაკავშირებულია ძირითად ერთეულებთან, მაგრამ GMM არ ასახავს ამ ცვალებადობას. ანალოგიურად, არის ფინანსურ რისკთან დაკავშირებული სხვა ასპექტები, რომლებიც გავლენას ახდენს CSM-ზე VFA-ის გამოყენებისას, მაგრამ არა GMM-ის ქვეშ.

ზემოთ განხილული გაზომვის მოდელები ეხმიანება გაცემული სადაზღვევო კონტრაქტების და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების კონტექსტს, მაგრამ იგივე პრინციპები გამოიყენება გადაზღვევის კონტრაქტებზე და მათთან დაკავშირებულ აქტივებზე (გარდა VFA-ისა). ანალოგიურად, LRC და LIC კომპონენტებია ნახსენებია, თუმცა თავდაპირველი აღიარებისას მხოლოდ LRC გამოიყენება.

მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები, რისკის კორექტირება და დისკონტირება ერთობლივად მოიხსენიება, როგორც გასანევი მომსახურებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ("FCF"). შემოსავლებისა და ხარჯების თვალსაზრისით GMM და VFA საკმაოდ მსგავსია, თუმცა მნიშვნელოვანი განსხვავებაა GMM/VFA და PAA-ს შორის. შემოსავლები GMM-სა და VFA-ში ასახავს პრემიის თითოეულ კომპონენტს ცალკე (როგორცაა მოსალოდნელი ბარალები და ხარჯები), ხოლო PAA-ში შემოსავალი აჩვენებს მხოლოდ მთლიან თანხას.

კომპანიის ერთეულებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები იზომება VFA-ს გამოყენებით, ყველა სხვა გრძელვადიანი ხელშეკრულებები იზომება GMM-ის გამოყენებით. არსებობს ფუნდამენტური განსხვავებები GMM/VFA-სა და გრძელვადიანი ხელშეკრულებების მიმდინარე მეთოდოლოგიებს შორის. ძირითადი განსხვავებები განიხილება ქვემოთ:

ფასს 17-ის მიხედვით, აქტივები ან ვალდებულებები განისაზღვრება მთლიანი პრემიის გაანგარიშებით, რისკის პრემიის გამოთვლებისგან განსხვავებით. ეს გულისხმობს, რომ ფასს 17-ის მიხედვით აქტივების ან

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ვალდებულებების ყველა კომპონენტი, როგორცაა ხარჯები ან მოგება, გამოთვლილი იქნება დეტალურად. ეს ასევე გულისხმობს იმას, რომ ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნება მხოლოდ დასაწყისში, გადავადდება. ამ განსხვავების ზემოქმედება არ შეიძლება განზოგადდეს, რადგან ეს დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა რისკის პრემიაზე დაფუძნებული გამოთვლების მარჯა უფრო მაღალი ან დაბალი ვიდრე მთლიანი პრემიაზე დაფუძნებული გამოთვლისას.

PAA-ს მსგავსად, GMM და VFA ასევე მოითხოვს რისკის კორექტირებას. რისკის კორექტირება ახალი მოთხოვნაა და ის არ არსებობს არსებული სტანდარტის მიხედვით. რისკის კორექტირება გაზრდის ვალდებულებებს გაცემულ სადაზღვევო კონტრაქტებზე და გაზრდის აქტივებს არსებული სადაზღვევის კონტრაქტებისთვის.

ფასს 17 ასევე ახორციელებს არსებით ცვლილებებს გრძელვადიანი კონტრაქტებისთვის მოგების აღიარების მოდელში, იგი მოითხოვს მოგების აღიარებას მინოდებულ მომსახურებასთან მიმართებაში. ახალი სტანდარტი წარადგენს ახალ საზომს, „დაზღვეული მომსახურებები“, რათა რაოდენობრივად შეფასდეს მომსახურების განევა ნებისმიერ პერიოდში. იმის გათვალისწინებით, რომ ერთჯერადი პრემიის კონტრაქტები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო პერიოდის დასაწყისში, მაშინ როცა მომსახურება უზრუნველყოფილია მოქმედების პერიოდის განმავლობაში, მოსალოდნელია, რომ ფასს 17-ის მიხედვით მოგების აღიარება ერთჯერადი პრემიის კონტრაქტებისთვის შეფერხდება და, შესაბამისად, ამის გამო წმინდა ვალდებულებები გაიზრდება. ანალოგიურად, შებლუდული გადახდის გეგმებისთვის, მოსალოდნელია მოგება აღიარებულია გადახდის ვადის ბოლოს და, შესაბამისად, მათთან დაკავშირებული მოგების აღიარება მოხდება მოგვიანებით ფასს 17-ის მიხედვით. რეგულარული გადახდები გეგმა დამოკიდებული იქნება თუ რამდენად ახლოსაა მომსახურების მოდელი არსებულ გეგმებთან.

შემოსავლის განმარტება GMM-სა და VFA-ში საკმაოდ განსხვავებულია გრძელვადიანი კონტრაქტებისთვის. ფასს 17-ის მიხედვით შემოსავალი უფრო პირდაპირია და ცალკე მოიცავს პრემიის თითოეულ კომპონენტს (ანუ მოსალოდნელ ზარალებსა და ხარჯებს და მოგების ნაწილს, რომელიც ეხება მთლიან პერიოდს).

## 2.6 მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები

სტანდარტი მოითხოვს, რომ მომავალი ფულადი ნაკადები უნდა შეფასდეს ხელშეკრულების დასრულებამდე. ხელშეკრულების ვადის დასრულება განისაზღვრება, როგორც ნერტილი, როდესაც კომპანიას შეუძლია გადააფასოს რისკი ან ანაზღაურება, ანუ პრემია. სტანდარტი არ ითვალისწინებს სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიას, თუმცა, ის უზრუნველყოფს დეტალურ მითითებებს ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ, რომლებიც ხდება ხელშეკრულების საზღვრებში და მის გარეთ. ის ასევე ითვალისწინებს გარკვეულ პრინციპებს მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებასთან დაკავშირებით.

## 2.7 დისკონტირება

სტანდარტი მოითხოვს, რომ მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები უნდა იყოს დისკონტირებული, რათა აისახოს ფულის დროითი ღირებულება და ფინანსური რისკები. სხვა დებულებების მსგავსად, ის არ აკონკრეტებს დისკონტირების მეთოდოლოგიას ან დისკონტირების განაკვეთების განსაზღვრას, თუმცა, ის განსაზღვრავს გარკვეულ პრინციპებს. სტანდარტი აღიარებს შემდეგ ორ მიდგომას დისკონტირების განაკვეთების გამოსათვლელად:

- ქვემოდან ზემოთ: მიდგომა, სადაც გამოიყენება რისკის გარეშე განაკვეთი ან შემოსავლიანობის მრუდი და ემატება არალიკვიდურობის პრემია ფულადი სახსრების ნაკადების მახასიათებლების



სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ასახვის მიზნით.

- ზემოდან ქვემოთ: მიდგომა, სადაც გამოიყენება პორტფელზე მოსალოდნელი სარგებელი და კორექტირდება, რათა ასახოს განსხვავებები ვალდებულებების ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებსა და პორტფელის მახასიათებლებს შორის.

ფულადი სახსრების ნაკადებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია პირდაპირი მონაწილეობის მქონე კონტრაქტების ძირითად პუნქტებთან, დისკონტის განაკვეთები უნდა შეესაბამებოდეს სხვა შეფასებებს, რომლებიც გამოიყენება სადაზღვევო კონტრაქტების გასაზომად. ზემოაღნიშნული ორი მიდგომის კორექტირება შეიძლება საჭირო გახდეს ასეთი ფულადი სახსრების ძირითადი პუნქტების ცვალებადობის ასახვისთვის.

## 2.8 სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა ("CSM")

სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა (CSM) წარმოადგენს მიუღებელ მოგებას, რომელსაც ერთეული აღიარებს სადაზღვევო ხელშეკრულების მომსახურებით მომავალში. თავდაპირველი აღიარებისას CSM გამოითვლება შესრულების ფულადი ნაკადების (FCF) გამოყენებით, ხოლო შემდგომ გაზომვისას CSM გამოითვლება საწყისი CSM ბალანსისა და პერიოდთან დაკავშირებული სხვადასხვა კორექტირების გამოყენებით. CSM-ის ნაწილი აღიარდება მოგება და ზარალში, როგორც შემოსავალი ყოველ პერიოდში დაფარვის ერთეულების გამოყენებით.

## 2.9 წაგებიანი კონტრაქტები და ზარალის კომპონენტები

როდესაც კონტრაქტების ჯგუფი, თავდაპირველი აღიარებისას თუ შემდგომში, არის ან ხდება წაგებიანი, ზარალის კომპონენტის ვალდებულება უნდა შენარჩუნდეს. GMM-ისა და VFA-ს მიხედვით, ეს ვალდებულება ირიბად შედის FCF-ებში LRC-ში, მაგრამ PAA-სთვის აშკარა ზარალის კომპონენტი უნდა იყოს გამოთვლილი და გათვალისწინებული იყოს საბაზისო LRC-ზე.

## 2.10 გადასვლა

ფასს 17-ში ნაგულისხმევი გარდამავალი მიდგომა არის სრული რეტროსპექტული მიდგომა ("FRA"), რომელიც მოითხოვს, რომ ფასს 17-ის გადასვლისას გამოყენებული იქნას კონტრაქტების ჯგუფების დაწყებიდან, თითქოს ფასს 17 ყოველთვის იყო გამოყენებული. შესაძლებელია შემდეგი მეთოდების გამოყენება:

მოდულიზირებული რეტროსპექტული მიდგომა ("MRA"): ამ მიდგომის მიზანია მიაღწიოს FRA-სთან მაქსიმალურად მიახლოებას სტანდარტის ფარგლებში დაშვებული ცვლილებების გამოყენებით და ზედმეტი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე.

სამართლიანი ღირებულების მიდგომა ("FVA"): ამ მიდგომის მიხედვით, კონტრაქტების ჯგუფის რეალური ღირებულება გამოითვლება და შედარებულია FCF-თან. CSM ან ზარალის კომპონენტი არის განსხვავება სამართლიან ღირებულებასა და FCF-ს შორის. სამართლიანი ღირებულებები ამ მიზნით. უნდა გამოითვალოს ფასს 13-ის გამოყენებით.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი**

ფასს 17 მოითხოვს კომპანიას გააკეთოს სხვადასხვა სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი. კომპანიის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი არჩევანი აღწერილია ქვემოთ.

სააღრიცხვო პოლიტიკა	კომპანიის გადანყვეტილება
აგრეგაციის დონე - უფრო დეტალური მომგებიანობის დარეგვა	კომპანიამ მიიღო სტანდარტში გათვალისწინებული მინიმუმ სამი კლასიფიკაცია და არ გამოიყენა უფრო დეტალური კლასიფიკაცია.
აგრეგაციის დონე უფრო დეტალური კოპორტის დანერგვა	კომპანია იყენებს წლიურ კოპორტებს და არა მოკლე კოპორტებს
PAA - აკვიზიციის ფულადი ნაკადების გადავადება	PAA-ს მიხედვით, ზოგიერთ ვითარებაში, დაშვებულია სადაზღვევო აკვიზიციის ფულადი ნაკადების აღიარება ხარჯად, წარმოშობისას, თუმცა, კომპანია არ იყენებს ამ პოლიტიკას, ნაცვლად იმისა, ის გადაავადებს აკვიზიციის ყველა ფულადი ნაკადს.
PAA - დიკონტირება LIC	PAA მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევაში, ნებადართულია არ დადისკოტორდეს LIC-ი, მაგრამ კომპანია არ იყენებს ამ მიდგომას და ყველა LIC-ის დოკონტორებას ახდენს.
პროცენტის აკუმულაცია - OCI არჩევანი	სტანდარტი საშუალებას იძლევა, რომ ფინანსური ხარჯები გაიყოს OCI-სა და მოგება-ზარალს შორის. კომპანია მიზნად ისახავს ასახოს მთელი ფინანსური ხარჯები P&L-ში და გეგმავს არ გაიყოს OCI-სა და მოგება-ზარალს შორის.
გადასვლის მიდგომა	კომპანია იყენებს მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომას

**2.11 შემოსავლის აღიარება**

სადაზღვევო ამონაგები და გადაზღვევის ხარჯები - მეთოდებისა და დაშვებების გამოყენება სახელშეკრულებო მომსახურების მარჯის (CSM) განსაზღვრისას აღიარდება, მოგება ზარალის ანგარიშგებაში როგორც განეული ან მიღებული სადაზღვევო ხელშეკრულების მომსახურება.

ზოგადი შეფასების მოდელის (GMM) მიხედვით შეფასებული ხელშეკრულებებისთვის, რომლებშიც კომპანიას აქვს დისკრეტია დაზღვევისთვის გადასახდელი ფულადი ნაკადების მიმართ, შესაძლებელია შეფასება მენეტმენტის მიერ, თუ რას მიიჩნევს კომპანია თავის ვალდებულებას ასეთი კონტრაქტების თავდაპირველი აღიარებისას. გარდა ამისა, შეიძლება საჭირო გახდეს მსჯელობა, რათა განასხვავოს შემდგომი ცვლილებები შესრულების ფულადი ნაკადებში, რომლებიც გამოწვეულია კომპანიის ვალდებულებების ცვლილებებით და იმ დაშვებების ცვლილებებით, რომლებიც დაკავშირებულია ამ ვალდებულების ფინანსურ რისკთან.

**2.12 ფინანსური შემოსავლების ან ხარჯების გაცემული სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან**

სადაზღვევო ფინანსური შემოსავალი ან ხარჯი მოიცავს სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფის საბალანსო ღირებულების ცვლილებას, რომელიც წარმოიქმნება:

- CSM-ზე დარიცხული პროცენტები;
- PAA-ს გამოყენების დროს LRC-ზე დარიცხული პროცენტი LC-ის გამოკლებით (თუ კორექტირებულია

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ეფექტისთვის);

- ფინანსური ეფექტი LC-ზე, რომელიც იზომება PAA-ის ფარგლებში (თუ კორექტირებულია ფინანსური ეფექტისთვის);
- FCF-ებში ცვლილებების ეფექტი მიმდინარე განაკვეთებზე, როდესაც შესაბამისი CSM განბლოკვა იზომება ჩაკეტილი ტარიფებით;
- სადაზღვევო/გადაზღვევის აქტივის ან ვალდებულების ნაშთებზე დარიცხული ან დამატებული ნებისმიერი პროცენტი; და
- საპროცენტო განაკვეთებისა და სხვა ფინანსური დაშვებების ცვლილების ეფექტი.

კონტრაქტების ყველა ჯგუფისთვის კომპანია ანაწილებს სადაზღვევო ფინანსურ შემოსავალს ან ხარჯებს მოგებასა და ზარალსა და სხვა მთლიან შემოსავალს შორის პერიოდისთვის (ანუ გამოიყენება OCI ვარიანტი). ფინანსური შემოსავალი და ხარჯები გაცემული სადაზღვევო კონტრაქტებიდან, აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ასახავს ვალდებულებებზე დარიცხულ საპროცენტო ხარჯს ფიქსირებული განაკვეთებით. პერიოდისთვის გაცემული სადაზღვევო კონტრაქტებიდან ფინანსური შემოსავლებისა და ხარჯების დარჩენილი თანხა აღიარებულია OCI-ში.

## 2.13 სხვა შემოსავლების აღიარება

### (i) საპროცენტი შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი ყველა პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტისთვის გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე, გარდა ფინანსური აქტივებისა, რომლებიც შემდგომში გაუფასურდა (ან დონე 3), რომლის საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით მათ ამორტიზებულ ღირებულებაზე (ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვიდან გამოკლებული) და აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში „საპროცენტო შემოსავლის“ ფარგლებში.

### (ii) დივიდენდი

ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როცა კომპანიას გააჩნია უფლება მიიღოს დივიდენდები (სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს).

### (iii) მიღებული გადაზღვევის საკომისიო

მიღებული საკომისიოები სრულად არის აღიარებული შესაბამისი სადაზღვევო ხელშეკრულებების დაწყების დროს.

## 2.14 ფინანსური ინსტრუმენტები

### ა) ინვესტიციები და სხვა ფინანსური აქტივები

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

*(i) კლასიფიკაცია*

კომპანია თავის ფინანსურ აქტივებს კლასიფიცირებს შემდეგ კატეგორიებად:

- ისინი, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით (ან OCI-ს მეშვეობით, ან მოგება-ზარალის მეშვეობით), და
- ამორტიზებული ღირებულებით შესაფასებელი.

კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების მართვის სანარმოს ბიზნეს მოდელზე და ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო პირობებზე. რეალური ღირებულებით შეფასებული აქტივებისთვის, მოგება და ზარალი ან ჩაინერება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კაპიტალის ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც არ არის განკუთვლილი სავაჭროდ, მიდგომა დგება იმის გათვალისწინებით მიიღო თუ არა კომპანიამ არჩევანი თავდაპირველი აღიარების დროს, რომ აღრიცხვა მომხდარიყო სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის მეშვეობით. კომპანია ახდენს სავალდებულო ინვესტიციების რეკლასიფიკაციას, მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება მისი ბიზნეს მოდელი ამ აქტივების მართვისთვის.

*(ii) აღიარება და აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური აქტივების ყველა "ჩვეულებრივი" შესყიდვა და გაყიდვა აღიარებულია "ვაჭრობის თარიღით", ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს ვალდებულებას შეიძინოს ან გაყიდოს აქტივი. ჩვეულებრივი შესყიდვები ან გაყიდვები არის ფინანსური აქტივების შესყიდვები ან გაყიდვები, რომლებიც საჭიროებენ აქტივების მიწოდებას იმ ვადებში, რომლებიც ზოგადად დადგენილია რეგულირებით ან კონვენციით ბაზარზე. ფინანსური აქტივების აღიარება შეწყვეტილია, როდესაც ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურა ან გადაცემულია და კომპანიამ გადასცა საკუთრებაში არსებული ყველა რისკი და სარგებელი.

*(iii) შეფასება*

თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია აფასებს ფინანსურ აქტივს მისი სამართლიანი ღირებულებით. ფინანსური აქტივის შემთხვევაში, რომელიც არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით აღრიცხული (FVTPL) ემატება ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენას. FVTPL-ით აღრიცხული ფინანსური აქტივების ტრანზაქციის ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივები ჩაშენებული დერივატივებით განიხილება მთლიანად, როდესაც დადგინდება, არის თუ არა მათი ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდა.

სავალდებულო ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია აქტივის მართვის კომპანიის ბიზნეს მოდელზე და აქტივის ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. არსებობს ორი საზომი კატეგორია, რომლებშიც კომპანია კლასიფიცირებს თავის სავალდებულო ინსტრუმენტებს:

- ამორტიზებული ღირებულება: აქტივები, რომლებიც ინახება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად, სადაც ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აღიარების შეწყვეტისას, აღიარებულია უშუალოდ მოგებაში ან ზარალში და წარმოდგენილია „წმინდა საინვესტიციო

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შემოსავალში/(ზარალში)“ სავალუტო მოგება-ზარალთან ერთად. გაუფასურების ზარალი შედის "სუფთა საინვესტიციო შემოსავალში/(ზარალში)" მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

- FVTPL: აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ამორტიზებული ღირებულების კრიტერიუმებს ან FVTOCI, ფასდება FVTPL-ით. მოგება ან ზარალი სავალუტო ინვესტიციიდან, რომელიც შემდგომში შეფასდება FVTPL-ით, აღიარებულია მოგების ანგარიშგებაში და წარმოდგენილია წმინდა საინვესტიციო შემოსავალში იმ პერიოდში, რომელშიც ის წარმოიქმნება.
- FVTOCI: აქტივები, რომლებიც არსებობენ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად და ფინანსური აქტივების გასაყიდად, სადაც აქტივების ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდას, ფასდება FVTOCI-ში. საბალანსო ღირებულების მოძრაობები აღებულია OCI-ის მეშვეობით, გარდა გაუფასურების შემოსავლებისა და ზარალის, საპროცენტო შემოსავლისა და სავალუტო შემოსავლებისა და ზარალის აღიარებისა, რომლებიც აღიარებულია მოგება-ზარალში. ფინანსური აქტივის აღიარების გაუქმებისას, OCI-ში ადრე აღიარებული კუმულაციური მოგება ან ზარალი რეკლასიფიცირებულია კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარებულია „წმინდა საინვესტიციო შემოსავალში“. ამ ფინანსური აქტივებიდან საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია „წმინდა საინვესტიციო შემოსავალში“.

### **კაპიტალური ინვესტიცია**

აღიარების შემდგომ კომპანია ყველა კაპიტალურ ინვესტიციას ზომავს FVTPL-ში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანიის ხელმძღვანელობამ აირჩია, თავდაპირველი აღიარებისას, რომ განსაზღვროს კაპიტალის ინვესტიცია FVTOCI-ში. კომპანიის პოლიტიკაა განსაზღვროს კაპიტალური ინვესტიციები FVTOCI-ში, მაშინ როცა ეს ინვესტიციები განსაზღვრულია სხვა მიზნებისთვის, გარდა საინვესტიციო ანაზღაურებისა. როდესაც ეს არჩევანი გამოიყენება, სამართლიანი ღირებულების მოგება და ზარალი აღიარებულია OCI-ში და მათი გასხვისებისას არ გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში. დივიდენდები, რომელიც წარმოადგენს მსგავსი ინვესტიციების ანაზღაურებას, აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როგორც "წმინდა საინვესტიციო შემოსავალი/(ზარალი)", როცა კომპანიას აქვს უფლება მიიღოს დივიდენდები.

დაკავშირებული აქტივები მოიცავს ინვესტიციებს, რომელიც ინახება კომპანიასთან დაზღვეულის სახელით, ფინანსური აქტივები გადამზღვევისაგან, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულთან და ნაღდი ფული, რომელიც დაცულია დაზღვეულის სახელით. დაკავშირებულს აქტივებს, რომელიც მოიცავს ინვესტიციებს, რომელიც ინახება კომპანიასთან დაზღვეულის სახელით, ფინანსურ აქტივებს გადამზღვევისაგან, რომელიც დაკავშირებულია დაზღვეულთან და ნაღდი ფულს, რომელიც დაცულია დაზღვეულის სახელით აღრიცხული არის ხელშეკრულების მფლობელის ანგარიშზე. ყველა ეს აქტივი განიხილება სამართლიანი ღირებულებით, იმართ ერიცხება კონტრაქტის მფლობელის ანგარიშს ძირითადი დაკავშირებული აქტივებიდან წარმოქმნილი წმინდა მოგების სამართლიანი ღირებულებით. ფულადი სახსრები აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით.

### **მოსალოდნელი და მიუღებელი (ფინანსური აქტივები)**

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების შეგროვების უნარიანობას საკრედიტო პოლიტიკისა და დეფოლტის მოვლენებზე დაყრდნობით. იხილეთ ქვემოთ (b) სადაზღვევო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების შესახებ.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## ბ) სადაზღვევო და სხვა მოთხოვნები

### ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია იყენებს სამეტაპიან მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებზე და სავალ ინსტრუმენტებზე, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც FVOCI. აქტივების განაწილება ხდება სამ ეტაპად, რომელიც ეფუძნება საკრედიტო ხარისხის ცვლილებას თავდაპირველი აღიარებიდან.

#### მიმოხილვა

კომპანია აღრიცხავს რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებისთვის სასესხო ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც არ არის FVTPL-ში. წილობრივი ინსტრუმენტები არ ექვემდებარება გაუფასურებას ფასს 9-ის მიხედვით.

კომპანიას აქვს გაცემული სესხი ფიზიკურ პირზე. ეს სესხი უნდა დაფაროს ვადის გასვლისას. ვადის გასვლის თარიღია 24.12.2041. საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა სებ-ის მიერ დადგენილ სესხებზე საბაზრო განაკვეთის მიხედვით, გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 17.8%-ს.

გადახდილ ავანსებში შედის სავალდებულო დაზღვევის ცენტრის წინასწარ გადახდილი საკომისიო. სასამართლო დავისთვის წინასწარ განეული ხარჯები არის სააღსრულებო ეროვნული ბიუროსათვის წინასწარ გადახდილი თანხები. გადარჩენილი ქონება მოიცავს კასკოს ზარალების შედეგად დარჩენილ ჯარტს.

**11. აქტივის გამოყენების უფლება და საიტარო ვალდებულებები**

აქტივის გამოყენების უფლება	2023	2022
<b>1 იანვარი</b>	<b>334,508</b>	<b>477,538</b>
მოდIFIკაცია	-	65,263
ამორტიზაცია	(200,485)	(208,293)
<b>31 დეკემბერი</b>	<b>134,023</b>	<b>334,508</b>
<b>საიტარო ვალდებულებები</b>	<b>2023</b>	<b>2022</b>
<b>1 იანვარი</b>	<b>306,626</b>	<b>575,333</b>
მოდIFIკაცია	-	(33,980)
საპროცენტო ხარჯი	41,847	48,064
საიტარო გადახდა	(221,150)	(255,136)
საკურსო ცვლილების ეფექტი	(11,630)	(27,655)
<b>31 დეკემბერი</b>	<b>115,693</b>	<b>306,626</b>

კომპანიას აქვს ორი საიტარო ხელშეკრულება. მას აქვს ნაქირავები საოფისე ფართები. იჯარის პერიოდი მთავრდება 31/8/2024. დისკონტირებისთვის კომპანიამ გამოიყენა 7,43% განაკვეთი.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმეი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ტექნიკური და სატელეკომუნიკაციო საშუალებები	ავეჯი და სხვა ძირითადი საშუალებები	სატრანსპორტ ო საშუალებები	მინა	სულ
31.12.2021	59,475	250,147	204,757	163,232	207,023	884,634
შემოსვლა	-	42,672	4,388	-	-	47,060
31.12.2022	59,475	292,819	209,145	163,232	207,023	931,694
შემოსვლა	32,500	32,486	14,262	-	-	79,248
31.12.2023	91,975	325,305	223,407	(42,422)	207,023	(42,422)
დაგროვილი ცვლადი						968,520
31.12.2021	(22,348)	(204,031)	(104,413)	(126,297)	-	(457,089)
ცვლადი	(12,886)	(26,020)	(17,151)	(14,996)	-	(71,053)
31.12.2022	(35,234)	(230,051)	(121,564)	(141,293)	-	-
ცვლადი	(16,549)	(25,530)	(16,759)	(8,731)	-	(528,142)
31.12.2023	(51,783)	(255,581)	(138,323)	42,422	-	(67,569)
საბალანსო ღირებულება						42,422
31.12.2021	37,127			(107,602)	-	(553,289)
31.12.2022	24,241	46,116	100,344	36,935	207,023	427,545
31.12.2023	40,192	62,768	87,581	21,939	207,023	403,552
		69,724	85,084	13,208	207,023	415,231

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

13. დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები PAA მიდგომით

	დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები PAA მიდგომით 31.12.23					
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებები		მომხდარი ბარალეების ვალდებულებები		სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	
	გარდა ბარალის კომპონენტისა	ბარალის კომპონენტი	მომხდარი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება	კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე	კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე	სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივების საწყისი ნაშთი	-	-	-	-	-	-
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების საწყისი ნაშთი	168,274	-	1,071,480	184,819	-	1,424,573
<b>სადაზღვევო კონტრაქტების წმინდა საწყისი პოზიცია</b>	<b>168,274</b>	<b>-</b>	<b>1,071,480</b>	<b>184,819</b>	<b>-</b>	<b>1,424,573</b>
<b>სადაზღვევო ამონაგები</b>	<b>(10,414,249)</b>	<b>-</b>	<b>(913,696)</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>(11,327,945)</b>
მომხდარი ბარალეები და სხვა ხარჯები	-	-	7,741,827	-	-	7,741,827
აქტივების გაუფასურება დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადებისთვის	467,430	-	-	-	-	467,430
წინა წლის ბარალეების შეფასების ცვლილება ცვლილება ვალდებულებებში, მომხდარი ბარალეებისთვის	-	-	804,091	-	-	804,091
კურსთაშორის სხვაობის გაცლენა დისკონტირების გაცლენა	(14,403)	-	830	-	-	(13,573)
სადაზღვევო საპროცენტო ხარჯი	-	-	9,859	-	-	9,859
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	-	-	24,220	-	-	24,220
<b>სადაზღვევო მომსახურების ხარჯები</b>	<b>1,213,209</b>	<b>-</b>	<b>8,580,827</b>	<b>107,335</b>	<b>-</b>	<b>9,901,371</b>
<b>მთლიანი ცვლილებები მოგება-ბარალის ანგარიშგებაში და OCI-ში</b>	<b>(9,201,040)</b>	<b>-</b>	<b>7,667,131</b>	<b>107,335</b>	<b>-</b>	<b>(1,426,574)</b>
მიღებული პრემია	10,742,091	-	-	-	-	10,742,091
გადახდილი ბარალეები და სხვა ხარჯები	-	-	(7,743,922)	-	-	(7,743,922)

სს „სადაზღვევო კომპანია ურაიმში“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ნარჩენი ქონებიდან ამოღებული წმინდა ფულადი ნაკადები	-	597,489	-	-	597,489
გადახდილი აკვიზიციის ხარჯები	(626,201)	-	-	-	(626,201)
<b>მთლიანი ფულადი ნაკადები</b>	<b>10,115,890</b>	<b>(7,146,433)</b>	-	-	<b>2,969,457</b>
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივების საბოლოო ნაშთი	-	-	-	-	-
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების საბოლოო ნაშთი	1,083,124	1,592,178	-	292,154	2,967,456
<b>სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების წმინდა პოზიცია</b>	<b>1,083,124</b>	<b>1,592,178</b>	<b>-</b>	<b>292,154</b>	<b>2,967,456</b>

	დაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები PAA მიდგომით 31.12.22		მომხდარი მარალების ვალდებულებები		სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები
	დარჩენილი სადაზღვევო პერიოდის ვალდებულებები	გარდა მარალის კომპონენტისა	მომხდარი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება	კორექტირება არაფინანსური რისკის საფუძველზე	
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივების საწყისი ნაშთი	-	-	-	-	-
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების საწყისი ნაშთი	(341,340)	-	651,382	154,625	464,667
<b>სადაზღვევო კონტრაქტების წმინდა საწყისი პოზიცია</b>	<b>(341,340)</b>	<b>-</b>	<b>651,382</b>	<b>154,625</b>	<b>464,667</b>
<b>სადაზღვევო ამონაგები</b>	<b>(7,679,478)</b>	<b>-</b>	<b>(181,475)</b>	<b>-</b>	<b>(7,860,953)</b>
მომხდარი მარალები და სხვა ხარჯები	-	-	4,601,376	-	4,601,376
აქტივების გაუფასურება დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადებისთვის	465,806	-	-	-	465,806
წინა წლის მარალების შეფასების ცვლილება	-	-	438,286	-	438,286
ცვლილება ვალდებულებებში, მომხდარი მარალებისთვის	-	-	-	30,194	30,194



სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმო“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კურსთაშორის სხვაობის გავლენა	124,584	-	-	-	-	-	-	87,915
დისკონტორების გავლენა	-	-	(36,669)	-	-	-	-	4,558
სადაზღვევო საპროცენტო ხარჯი	-	-	4,558	-	-	-	-	4,558
დაზღვევის აკვიზიციის ფულადი ნაკადების ამორტიზაცია	609,755	-	14,361	-	-	-	-	14,361
სადაზღვევო მომსახურების ხარჯები	1,200,145	-	5,021,912	-	-	-	-	609,755
მთლიანი ცვლილებები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და OCI-ში	(6,479,333)	-	4,840,437	-	-	-	30,194	6,252,251
მიღებული პრემია	7,665,931	-	-	-	-	-	30,194	(1,608,702)
გადახდილი ზარალები და სხვა ხარჯები	-	-	-	-	-	-	-	7,665,931
ნარჩენი ქონებიდან ამოღებული წმინდა ფულადი ნაკადები	-	-	(4,631,825)	-	-	-	-	(4,631,825)
გადახდილი აკვიზიციის ხარჯები	(676,982)	-	211,486	-	-	-	-	211,486
მთლიანი ფულადი ნაკადები	6,988,949	-	(4,420,339)	-	-	-	-	(676,982)
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივების საბოლოო ნაშთი	-	-	-	-	-	-	-	-
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების საბოლოო ნაშთი	168,276	-	1,071,480	-	-	-	184,819	1,424,575
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების წმინდა პოზიცია	168,276	-	1,071,480	-	-	-	184,819	1,424,575

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**14. სხვა ვალდებულებები**

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები		
დეკონირებული თანხები	272,234	343,794
სხვა ვალდებულებები	70,098	59,682
არა-ფინანსური ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულებები	306,788	203,832
სულ სხვა ვალდებულებები	<b>649,120</b>	<b>607,308</b>

დეკონირებული თანხები მოიცავს კომპანიის მიერ გარანტიების გაცემისთვის დეკონირებულ თანხებს.

**15. სააქციო კაპიტალი**

2023 წელს საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 2,499,353 ლარით (2022: 2,099,819). კომპანიის საწესდებო კაპიტალიდან (2,954 ჩვეულებრივი აქცია თითო ნომინალური ღირებულებით 5,244 ლარი) სრულად არის გადახდილი 15,490,640 ლარი (2022: 12,991,287).

თარიღი	რაოდენობა	სულ საწესდებო კაპიტალი
31.12.2022	2,800	12,991,287
ზრდა	154	2,499,353
31.12.2023	2,954	15,490,640

კაპიტალთან დაკავშირებით კანონმდებლობის მოთხოვნები იხილეთ კაპიტალის მენეჯმენტის მგ-16 შენიშვნაში.

**16. რისკის მართვა**

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვაგვარ რისკებთან. ამიტომ რისკების მართვა წარმოადგენს მისი სადაზღვევო საქმიანობის მნიშვნელოვან კომპონენტს. რისკი წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის განუყოფელ ნაწილს, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რისკის მუდმივი განსაზღვრის, შეფასების და ყოველდღიური მონიტორინგის პროცესის მეშვეობით რისკების ლიმიტის და სხვა კონტროლის გათვალისწინებით. კომპანიაში მომუშავე ყოველი ადამიანი პასუხისმგებელია იმ რისკებზე, რომლებსაც მოიცავს მისი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო. ქვემოთ მოცემულია კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა ამ რისკებთან მიმართებაში.

**მართვის სტრუქტურა**

კომპანიის რისკების და ფინანსური მართვის სტრუქტურის ძირითადი მიზანია კომპანიის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც ხელს უშლის მის მიერ დასახული მიზნების მდგრად მიღწევას. მათ შორის მოიაზრება შესაძლებლობების გამოუყენებლობა. კომპანია აღიარებს რისკების მართვის ქმედითი და ფუნქციური სისტემის არსებობის კრიტიკულ მნიშვნელობას.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კომპანიამ შექმნა რისკების მართვის ფუნქცია დირექტორთა საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო ახორციელებს ხელმძღვანელობის შესაბამისი წევრების მიმართ რისკების მართვის დადგენილი პოლიტიკის აღსრულების ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობის დელეგირებას.

დირექტორთა საბჭო ამტკიცებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკას და ატარებს რეგულარულ შეხვედრებს ასეთი პოლიტიკის ნებისმიერი კომერციული, მარეგულირებელი და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნების დასამტკიცებლად. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის მიერ რისკის იდენტიფიკაციას და მის ინტერპრეტაციას, ლიმიტის სტრუქტურას, რათა უზრუნველყოს აქტივების შესაბამისი ხარისხი და დივერსიფიკაცია, სადაზღვევო და გადაზღვევის სტრატეგიის შესაბამისობა კორპორაციულ მიზნებთან და მიუთითებს ანგარიშგების მოთხოვნებს.

**კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომა**

კომპანიამ ჩამოაყალიბა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და რისკების მართვის მიმართ მიდგომა, რომლებიც გავლენას ახდენს მისი კაპიტალის პოზიციაზე.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით დაზღვეულებისთვის უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფა.
- კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა იმის უზრუნველყოფით, რომ შემოსავალი გამოყენებული კაპიტალიდან აკმაყოფილებს მისი ინვესტორების და მისი აქციონერების მოთხოვნებს.
- ფინანსური მოქნილობის შენარჩუნება ძლიერი ლიკვიდურობის და ფინანსური ინსტიტუტებიდან ხელმისაწვდომი სახსრების წვდომის მეშვეობით.
- ფინანსური ძალის შენარჩუნება, ახალი ბიზნესის ზრდის ხელშეწყობა და დაზღვეულების, მარეგულირებლების და აქციონერების საჭიროებების დაკმაყოფილება.

კომპანიის ოპერაციები ასევე ექვემდებარება ადგილობრივ მარეგულირებელ მოთხოვნებს. ასეთი რეგულაციები არა მხოლოდ განსაზღვრავს საქმიანობის დამტკიცებისა და მონიტორინგის საჭიროებას, არამედ ასევე აწესებს გარკვეული შემზღვეველ დებულებებს, მაგალითად კაპიტალის ადეკვატურობა – სადაზღვევო კომპანიების მხრიდან დეფოლტის და გაკოტრების რისკის შესამცირებლად, რათა შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესრულება მათი წარმოშობისას.

კომპანიის კაპიტალის მართვის პოლიტიკა მისი სადაზღვევო და არასადაზღვევო ბიზნესისთვის არის საკმარისი ლიკვიდური აქტივების ფლობა ნორმატიული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მარეგულირებელი მითითებების საფუძველზე.

**მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ**

კომპანია ცდილობს სტრუქტურისა და კაპიტალის წყაროების ოპტიმიზაციას იმისთვის, რომ უზრუნველყოს უკუგების თანმიმდევრული ზრდა აქციონერებისა და დაზღვეულებისთვის.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ მოიცავს აქტივების, ვალდებულებების და რისკების კოორდინირებულად მართვას, კაპიტალის რეალურ და საჭირო დონეებს შორის განსხვავების რეგულარულ შეფასებას და სათანადო ქმედებებს კომპანიის კაპიტალის პოზიციაზე ზემოქმედებისთვის.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

გასულ წელს, წინა წლებთან შედარებით კომპანიაში აღგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან ცვლილებებს მის პოლიტიკასა და პროცესებში კაპიტალის სტრუქტურასთან დაკავშირებით.

#### კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის მთავარი მიზანი არის შესაბამისი დონის მონიტორინგი და კომპანიის რისკებთან კაპიტალის შესაბამისობის უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს. კომპანიის კაპიტალის მართვის მიზნებია:

- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურების მოთხოვნების დაცვა;
- სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის შენარჩუნება და
- კომპანიის სტაბილურობის აუცილებელი დონის შენარჩუნება და დაზღვეულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

#### მარეგულირებლის მოთხოვნები

2016 წლის 16 სექტემბერს, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა გამოაქვეყნა ბრძანებულება №15 და №16 რეგულაცია გადახდისუნარიანობის მარჯის და კაპიტალის შესახებ. გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობა საანგარიშო პერიოდისთვის განისაზღვრება პრემიაზე და ბარალზე დაფუძნებული მეთოდით გამოთვლილი რიცხვებიდან ყველაზე დიდით და გამოითვლება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

მაქს (SRp, SRc), სადაც გამოყენებული ტერმინები და აღნიშვნები აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

SRp - გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი გამოთვლილი პრემიუმის მეთოდით;

SRc - გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება ბარალზე დაფუძნებული მეთოდით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადახდისუნარიანობის მარჯა არის 1,950,907 ლარი.

მარეგულირებელი კაპიტალი განისაზღვრება ფასს კაპიტალის საფუძველზე, კორექტირებული ISSSG №16 დირექტივით დადგენილი წესით.

კომპანია აკმაყოფილებს მარეგულირებელი კაპიტალის მოთხოვნას, როგორც ამას მოითხოვს საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კანონმდებლობა. საზედამხედველო კაპიტალის ჭარბი ოდენობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 45,371 ლარი გადახდისუნარიანობის მარჯის მოთხოვნით და 5,374,860 ლარი მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნით

#### 16.1 სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულების რისკი არის რისკი, რომ დადგება გაურკვეველი ოდენობის და ვადის სადაზღვევო შემთხვევა. ძირითადი რისკი, რომელიც დგას კომპანიის წინაშე ასეთი ხელშეკრულებების პირობებში არის ის, რომ ფაქტობრივი ბარალები აღემატება სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ოდენობას. ამაზე გავლენას ახდენს ბარალების სიხშირე, ბარალების სიმძიმე, ფაქტობრივად გადახდილი ანაზღაურება მეტია თავდაპირველად შეფასებულზე და შემდგომ გრძელვადიანი ბარალების განვითარება.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ხდება ზარალის რისკის დივერსიფიკაციით სადაზღვევო ხელშეკრულებების დიდ პორტფელზე, ვინაიდან, რაც უფრო მეტად დივერსიფიცირებულია პორტფელი, მით ნაკლებად სავარაუდოა საერთო ზეგავლენა პორტფელის რაიმე ნაწილის ცვლილების გამო, ასევე, მოულოდნელი შედეგები. რისკების ცვალებადობის გაუმჯობესება ასევე ხდება სადაზღვევო სტრატეგიისა და ხელმძღვანელი მითითებების ფრთხილად შერჩევითა და განხორციელებით, აგრეთვე გადაზღვევის ხელშეკრულებების გამოყენებით. კომპანია ადგენს სადაზღვევო სახელმძღვანელო მითითებებსა და ლიმიტებს, რომლებიც განსაზღვრავს, ვინ რა რისკი შეიძლება მიიღოს და გამოსაყენელ ლიმიტებს. ხორციელდება ამ ლიმიტების მუდმივი მონიტორინგი.

კომპანიის მიერ გახორციელებული დაზღვევის ტიპები ძირითადად 12-თვიანია. ყველაზე არსებით რისკს წარმოადგენს სტიქიური მოვლენები და ხანძარი. სამედიცინო დაზღვევის კონტრაქტებისთვის ყველაზე არსებითი რისკი წარმოიქმნება ცხოვრების სტილის შეცვლის, ეპიდემიების და მსგავსი შემთხვევების შედეგად. რისკები მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი წარმოშობის ადგილის, სახეობისა და ინდუსტრიის მიხედვით. აქედან გამომდინარე, პორტფელის თანხების არასათანადო კონცენტრაციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე.

#### სადაზღვევო რისკის მართვა

ზემოთ აღნიშნული რისკის დონე მცირდება სადაზღვევო კონტრაქტების პორტფელის დივერსიფიკაციით. რისკი ნეიტრალდება ასევე ანდერრაიტინგის სტრატეგიის ფრთხილი შერჩევითა და დანერგვით, რომელიც უზრუნველყოფს რისკების დაყოფას სახეობებისა და სადაზღვევო თანხების მიხედვით. ეს მიიღწევა ინდუსტრიების მიხედვით დაყოფის გზით. გარდა ამისა, ზარალის განხილვის მკაცრი პოლიტიკა ყველა ახალი და მიმდინარე ზარალის შესაფასებლად, ზარალების დარეგულირების პროცედურების რეგულარული დეტალური განხილვა და შესაძლო თაღლითური ზარალების ხშირი გამოძიება წარმოადგენს კომპანიის რისკების დონის შემცირების პროცედურებს. კომპანია იყენებს ასევე ზარალების მართვისა და დარეგულირების პოლიტიკას, რათა შეამციროს მომავალი გაუთვალისწინებელი მოვლენების უარყოფითი გავლენა მის საქმიანობაზე. კომპანია ასევე ზღუდავს რისკის დონეს გარკვეულ კონტრაქტებზე ზარალის მაქსიმალური სიდიდის დაწესებით, ასევე გადაზღვევის შეთანხმებების გამოყენებით, რათა შეამციროს კატასტროფულ მოვლენებთან დაკავშირებული რისკი, მაგალითად, ქარიშხლით, მიწისძვრითა და წყალდიდობით გამოწვეული ზარალები.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია, მიმდინარე პერიოდში რეზერვების შექმნისას, არ ეყრდნობა პირდაპირ ანალიზს და სადაზღვევო რეზერვებს ქმნის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სადაც ზუსტად არის განსაზღვრული, თუ რა ტიპის რეზერვი უნდა შეიქმნას და რა რაოდენობით, შექმნილი რეზერვები წარმოშობილი ზარალების ადეკვატურია.

ქვემოთ მოცემული ცხრილები აჩვენებს წმინდა სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებების განაწილებას ხელშეკრულების ტიპების მიხედვით

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

2023	სადაზღვევო კონტრაქტებიდან ნარმოშობილი ვალდებულებები	გადაზღვევის კონტრაქტებიდან ნარმოშობილი აქტივები	წმინდა სადაზღვევო კონტრაქტებიდან ნარმოშობილი ვალდებულებები
სამედიცინო დაზღვევა	1,018,026	-	-
ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	882,042	439,435	442,607
სავალდებულო დაზღვევა*	795,572	396,356	399,216
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	107,429	53,521	53,908
აგროდაზღვევა	74,016	36,874	37,142
პასუხისმგებლობის დაზღვევა	76,721	38,223	38,498
კონტეინერების დაზღვევა	49,428	24,625	24,803
ტვირთების დაზღვევა	39,193	19,526	19,667
ქონების დაზღვევა	39,876	19,867	20,009
სამომზგაურო დაზღვევა	17,149	8,544	8,605
დისკონტირების ეფექტი	(131,996)	(29,638)	(102,358)
<b>სულ</b>	<b>2,967,456</b>	<b>1,007,333</b>	<b>942,097</b>

2022	სადაზღვევო კონტრაქტებიდან ნარმოშობილი ვალდებულებები	გადაზღვევის კონტრაქტებიდან ნარმოშობილი აქტივები	წმინდა სადაზღვევო კონტრაქტებიდან ნარმოშობილი ვალდებულებები
სამედიცინო დაზღვევა	342,544	-	342,544
ავტოსატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	421,848	65,077	356,771
სავალდებულო დაზღვევა*	441,247	68,069	373,178
ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	77,654	11,979	65,675
აგროდაზღვევა	65,931	10,171	55,760
პასუხისმგებლობის დაზღვევა	56,263	8,679	47,584
კონტეინერების დაზღვევა	43,328	6,684	36,644
ტვირთების დაზღვევა	31,055	4,791	26,264
ქონების დაზღვევა	25,435	3,924	21,511
სამომზგაურო დაზღვევა	6,048	933	5,115
დისკონტირების ეფექტი	(86,778)	(9,530)	(77,248)
<b>სულ</b>	<b>1,424,575</b>	<b>170,777</b>	<b>1,253,798</b>

განუსაზღვრელობების საფუძველი მომავალში ასანაზღაურებელი ზარალების შეფასებისას

სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ზარალების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა მათი ფაქტიურად მოხდენის მომენტში. არსებობს რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს სადაზღვევო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ფულადი ნაკადების მოცულობასა და დროულობაზე. ეს განუსაზღვრელობები ძირითადად უკავშირდება დაზღვეული სექტორის თანდაყოლილ, შიდა რისკს და

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კომპანიის მიერ მიღებულ და განხორციელებულ რისკის მართვის პროცედურებს. ზარალების შეფასებული ღირებულება მოიცავს ზარალების დაფარვისთვის საჭირო პირდაპირ დანახარტებს, რომლებიც შემცირებულია მესამე მხარის მიერ გადასახდელი თანხებით. კომპანია ყველანაირად ცდილობს, დარწმუნდეს, რომ მას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია სადაზღვევო ზარალების წარმოშობის შესახებ. სადაზღვევო გარიგებებთან დაკავშირებული ვალდებულება მოიცავს მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვს, და განცხადებელი, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვს.

მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვის შეფასება, როგორც წესი, დაკავშირებულია მთელ რიგ განუსაზღვრელობებთან, განსხვავებით იმ ზარალების ღირებულების შეფასებისგან, რომელთა შესახებაც კომპანიას ინფორმაცია აქვს.

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია შეფასებულ ზარალებს ტესტავს ადეკვატურობაზე: კომპანია განსაზღვრავს, ზარალების შეფასებული ვალდებულებები არის თუ არა ნაკლები იმ საბალანსო ღირებულებაზე, რომელიც მოთხოვნილი იქნებოდა, თუ შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებები მოხვდებოდა ბასს 37-ის *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები* მოქმედების სფეროში, თუ შეფასებული ვალდებულებები ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილ ანარიცხებზე ნაკლები აღმოჩნდა, მაშინ კომპანია მთელ უკმარ თანხას აღიარებს მოგება-ზარალში და გაზრდის შესაბამისი სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას.

ზარალიანობის კოეფიციენტები მიმდინარე და წინა წლისთვის, გადაზღვევის დაწყებამდე და შემდეგ შეჯამებულია ქვემოთ:

რისკი	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
	მთლიანი ზარალის კოეფიციენტი	წმინდა ზარალის კოეფიციენტი	მთლიანი ზარალის კოეფიციენტი	წმინდა ზარალის კოეფიციენტი
ზოგადი დაზღვევა	100%	111%	95%	122%

მთლიანი ზარალის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად: სადაზღვევო მომსახურების ხარტები / სადაზღვევო ამონაგენი და წმინდა ზარალის კოეფიციენტი გამოითვლება სადაზღვევო მომსახურების ხარტები + გადაზღვევის მომსახურების ხარტები / სადაზღვევო ამონაგები+ შემოსავალი გადაზღვევის ხელშეკრულებიდან.

შესრულებულ სიმულაციებზე დაყრდნობით, მოგებაზე ზარალის კოეფიციენტის 1%-იანი ცვლილების გავლენა, როგორც მთლიანი, ასევე გადაზღვევის ანაზღაურების გარეშე, იქნება შემდეგი:

ზარალის კოეფიციენტის 1%-იანი ზრდის გავლენა	2023		2022	
	მთლიანი	წმინდა	მთლიანი	წმინდა
ზარალის კოეფიციენტის 1%-ით შემცირების გავლენა	459	(16,692)	4,273	(22,984)
ზარალის კოეფიციენტის 1%-ით შემცირების გავლენა	(459)	16,692	(4,273)	22,984

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სენსიტიურობის ანალიზი გამოითვლება სადაზღვევო მომსახურების შედეგი გადაზღვევამდე\* 1%, ხოლო წმინდა ხარჯი გადაზღვევის კონტრაქტებიდან \* 1%.

შემდგომი ცხრილები ასახავს მომხდარი ზარალების შეფასებას, რომელიც მოიცავს როგორც მომხრად ზარალებს ასევე IBNR-ს, თითოეული შემთხვევის წლისთვის, გადახდებთან ერთად.

ფასს17-ის მოთხოვნების შესაბამისად კომპანია ითვალისწინებს მომავალი ნაკადების შესაძლებლობასა და სიდიდეს, რაც აისახება რისკის კორექტირებისას. ზოგადად, ზარალის შეფასების ღირებულების განუსაზღვრელობა ბევრად დიდია მაშინ როცა ზარალი რეგულირების საწყის ეტაპზეა. როცა ზარალი დარეგულირდება ზარალის ღირებულება მეტად კონკრეტული ხდება.

კომპანიას არ გაუმუდავდება ინფორმაცია ზარალების განვითარებაზე, რომელიც მოხდაფასს17-ით მომზადებული ანგარიშგების 5 წლით ადრე.

## 16.2. ფინანსური რისკები

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება მხოლოდ სავალუტო რისკს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მიერ გამოყენებული ფინანსური აქტივების, სადაზღვევო აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სადაზღვევო ვალდებულებებს კატეგორიების მიხედვით.

	31.12.2023	31.12.2022
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები		
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	1,007,333	170,777
ფინანსური აქტივები		
სხვა აქტივები	350,236	281,906
საბანკო დანესხებულებებში განთავსებული დეპოზიტები	8,620,264	7,675,481
ფული და ფულის ექვივალენტები	1,216,774	366,856



სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	<u>11,194,607</u>	<u>8,495,020</u>
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	2,967,456	1,424,575
ფინანსური ვალდებულებები	115,693	306,626
საიჯარო ვალდებულება	649,120	607,308
სხვა ვალდებულებები	<u>3,732,269</u>	<u>2,338,509</u>

**საკრედიტო რისკი**

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობით. არ არსებობს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

ძირითადი სფეროები, სადაც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს:

- სადაზღვევო აქტივები
- სხვა მოთხოვნები;
- საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - დავალიანება;
- საბანკო დეპოზიტები სამ თვეზე მეტი ვადით;
- ნორმატიული ანაბარი; და
- ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

კომპანიამ დანერგა კრედიტუნარიან კონტრაგენტებთან ურთიერთობის პოლიტიკა, ფინანსური ზარალის რისკის შესამცირებლად. კომპანიის მდგომარეობა და მისი კონტრაგენტების საკრედიტო რეიტინგები მუდმივად კონტროლდება და ტრანზაქციების ჯამური ღირებულება ვრცელდება დამტკიცებულ კონტრაგენტებს შორის. საკრედიტო მდგომარეობა კონტროლდება კონტრაგენტების ლიმიტებით, რომლებიც ყოველწლიურად განიხილება და ამტკიცებს მენეჯმენტს.

გადაზღვევა გამოიყენება სადაზღვევო რისკის მართვისთვის. თუმცა, ეს არ ათავისუფლებს კომპანიის, როგორც ძირითადი მზღვეველის პასუხისმგებლობას, თუ გადამზღვევი რაიმე მიზეზით ვერ გადაიხდის ზარალს, კომპანია რჩება პასუხისმგებელი დაზღვეულის წინაშე გადახდაზე. გადამზღვეველთა კრედიტუნარიანობა განიხილება ყოველწლიურად მათი ფინანსური სიძლიერის გადახედვით ნებისმიერი ხელშეკრულების დასრულებამდე.

რეგულარული ბიზნესი. ცალკეული კონტრაგენტების მიმართ ზემოქმედება ასევე იმართება სხვა მექანიზმებით, როგორცაა კომპენსაციის უფლება, სადაც კონტრაგენტები არიან კომპანიის მოვალეებიც და კრედიტორებიც. კომპანიისთვის წარდგენილი მენეჯმენტის ინფორმაცია მოიცავს დეტალებს სადაზღვევო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვებისა და შემდგომ ჩამოწერის შესახებ. ცალკეულ დაზღვეულთან და დაზღვეულთა ჯგუფებთან კონტრაქტები გროვდება კონტროლის მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში. როდესაც არსებობს ცალკეული დაზღვეულის ან დაზღვეულის მფლობელთა კომოგენური ჯგუფის მნიშვნელოვანი ზემოქმედება, გადამზღვეველებისთვის ჩატარებული ფინანსური ანალიზის ექვივალენტი ხორციელდება კომპანიის მიერ.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სადაზღვევო დებიტორული დავალიანება შედგება კლიენტების დიდი ოდენობისგან, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ინდუსტრიებსა და გეოგრაფიულ ზონებში. მუდმივად ხორციელდება დებიტორული მოტხოვნების საკრედიტო შეფასება.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რისკი განაწილებულია კონტრაგენტებისა და კლიენტების დიდ რაოდენობაზე. კომპანია განსაზღვრავს კონტრაგენტებს, როგორც მსგავსი მახასიათებლების მქონეს, თუ ისინი დაკავშირებული კომპანიები არიან. ლიკვიდურ სახსრებზე საკრედიტო რისკი შეზღუდულია, რადგან კონტრაგენტები არიან ბანკები მაღალი საკრედიტო რეიტინგებით, რომლებიც მინიჭებულია საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგის სააგენტოების მიერ.

ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელიც შემცირებულია გაუფასურების ზარალით, წარმოადგენს კომპანიის მაქსიმალურ ზემოქმედებას საკრედიტო რისკზე.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი, რომელსაც კომპანია ექვემდებარება, მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31.12.2023	31.12.2022
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები		
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	1,007,333	170,777
ფინანსური აქტივები		
სხვა აქტივები	350,236	281,906
საბანკო დანესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	8,620,264	7,675,481
ფული და ფულის ექვივალენტები	1,216,774	366,856
	<b>11,194,607</b>	<b>8,495,020</b>

**ლიკვიდურობის რისკი - დაფარვის ანალიზი**

ლიკვიდურობის რისკის მართვაზე საბოლოო პასუხისმგებლობა ეკისრება დირექტორთა საბჭოს, რომელმაც შექმნა ლიკვიდობის რისკის მართვის შესაბამისი ჩარჩო კომპანიის მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დაფინანსებისა და ლიკვიდობის მართვის მოთხოვნების მართვისთვის. კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს ადეკვატური რეზერვების შენარჩუნებით პროგნოზული და რეალური ფულადი ნაკადების მუდმივი მონიტორინგით და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის პერიოდების შესაბამისობით.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჩვენებს კომპანიის სადაზღვევო და ფინანსური ინსტრუმენტების დაფარვის პოზიციას. ფინანსური ინსტრუმენტების სახელშეკრულებო ვადები განისაზღვრა ანგარიშგების თარიღიდან სახელშეკრულებო დაფარვის თარიღამდე დარჩენილი პერიოდის საფუძველზე. დაფარვის პერიოდებს აკონტროლებს მენეჯმენტი, რათა უზრუნველყოფილი იყოს ადეკვატური ლიკვიდურობა. საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების დაფარვის პოზიცია შემდეგი იყო:

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი დაფარვის თარიღების საფუძველზე.

ლიკვიდურობის მდგომარეობა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის

31.12.2023	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
------------	----------	----------------	--------------	-----

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები				
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	1,008,440	(1,107)	-	1,007,333
ფინანსური აქტივები				
სხვა აქტივები	350,236	-	-	350,236
საბანკო დანესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	4,626,505	3,993,759	-	8,620,264
ფული და ფულის ექვივალენტები	1,216,774	-	-	1,216,774
	<u>7,201,955</u>	<u>3,992,652</u>	-	<u>11,194,607</u>
	<u>1 წლამდე</u>	<u>1-დან 5 წლამდე</u>	<u>5 წლის ზემოთ</u>	<u>სულ</u>
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	3,962,522	(310,830)	(684,236)	2,967,456
ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	115,693	-	-	115,693
სხვა ვალდებულებები	649,120	-	-	649,120
	<u>4,727,335</u>	<u>(310,830)</u>	<u>(684,236)</u>	<u>3,732,269</u>
ნმინდა პოზიცია	<u>2,474,620</u>	<u>4,303,482</u>	<u>684,236</u>	<u>7,462,338</u>

ლიკვიდურობის მდგომარეობა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის

31.12.2022	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წლის ზემოთ	სულ
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები				
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	170,777			170,777
ფინანსური აქტივები				
სხვა აქტივები	281,906			281,906
საბანკო დანესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	7,675,481			7,675,481
ფული და ფულის ექვივალენტები	366,856			366,856
	<u>8,495,020</u>			<u>8,495,020</u>
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	1,067,617	1,825,422	(1,468,464)	1,424,575
ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	184,023	122,603		306,626
სხვა ვალდებულებები	607,308			607,308
	<u>1,858,948</u>	<u>1,948,025</u>	<u>(1,468,464)</u>	<u>2,338,509</u>
ნეტო პოზიცია	<u>6,636,072</u>	<u>(1,948,025)</u>	<u>1,468,464</u>	<u>6,156,511</u>

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დღეისათვის კომპანია ელოდება ყველა ვალდებულების გადახდას სახელშეკრულებო ვადის გასვლისას. ასეთი ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანია მოელის, რომ საოპერაციო საქმიანობა გამოიმუშავებს საკმარის ფულად სახსრებს.

საგარანტიო ხელშეკრულებები სათანადოდ არის უზრუნველყოფილი.

#### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები მერყეობდეს საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად, იქნება ეს ცვლილებები გამონეგული ცალკეული ფასიანი ქაღალდების, ან მისი ემიტენტის სპეციფიკური ფაქტორებით, ან ყველა ფასიან ქაღალდზე ზემოქმედების ფაქტორებით. კომპანიის საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტაში (ბ) საპროცენტო და (გ) საფასო რისკის აქტივებსა და ვალდებულებებში, იმ ზომით რამდენადაც ისინი ექვემდებარება ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებს. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკებზე, რომლებიც შეიძლება იყოს მისაღები, რომლებიც რეგულარულად კონტროლდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება ხელს არ უშლის დანაკარგებს ამ ლიმიტების მიღმა ბაზრის უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში. ერთეულთან დაკავშირებული კონტრაქტები არ იქნა გათვალისწინებული საბაზრო რისკის მგრძობელობის გამო და რადგან ისინი მხოლოდ კონტრაქტებშია გადაცემული.

ქვემოთ მოყვანილი საბაზრო რისკებისადმი მგრძობელობა ეფუძნება ერთი ფაქტორის ცვლილებას, ხოლო ყველა სხვა ფაქტორს უცვლელად დარჩენას. პრაქტიკაში, ეს ნაკლებად სავარაუდოა, და ზოგიერთი ფაქტორის ცვლილება შეიძლება იყოს კორელაციური - მაგალითად, საკრედიტო სპრედი, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება და უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება.

საბაზრო რისკის ფაქტორები მოიცავს კაპიტალის ფასებს, საკრედიტო სპრედებს, სავალუტო კურსებს და საპროცენტო განაკვეთებს. კომპანია ზღუდავს საბაზრო რისკს დივერსიფიცირებული პორტფელის შენარჩუნებით და ადგილობრივ კაპიტალისა და ობლიგაციების ბაზრებზე განვითარებული მოვლენების მუდმივი მონიტორინგით. გარდა ამისა, კომპანია აქტიურად აკონტროლებს ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ აქციების და ობლიგაციების ბაზრის მოძრაობაზე, მათ შორის ინვესტიციის მონაწილეთა საოპერაციო და ფინანსური საქმიანობის ანალიზს.

#### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო.

#### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვლილებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

*ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით*

31.12.2023

	<u>ლარი</u>	<u>დოლარი</u>	<u>ევრო</u>	<u>სულ</u>
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები				
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	471,555	535,840	(62)	1,007,333
ფინანსური აქტივები				
სხვა აქტივები	350,236	-		-
საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	2,730,368	5,889,896		8,620,264
ფული და ფულის ექვივალენტები	545,622	671,152		1,216,774
	<u>4,097,781</u>	<u>7,096,888</u>	<u>(62)</u>	<u>11,194,607</u>
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	4,753,919	(1,762,349)	(24,114)	2,967,456
ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		115,693		-
სხვა ვალდებულებები	649,120			115,693
	<u>5,403,039</u>	<u>(1,646,656)</u>	<u>(24,114)</u>	<u>649,120</u>
	<u>(1,305,258)</u>	<u>8,743,544</u>	<u>24,052</u>	<u>3,732,269</u>

31.12.2022

	<u>ლარი</u>	<u>დოლარი</u>	<u>ევრო</u>	<u>სულ</u>
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები				
გადაზღვევის კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	180,331	(9,494)	(60)	170,777
ფინანსური აქტივები				
სხვა აქტივები	281,906	-		-
				<u>281,906</u>

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები	270,340	7,405,141		7,675,481
ფული და ფულის ექვივალენტები	198,537	168,319		366,856
	<u>931,114</u>	<u>7,563,966</u>	<u>(60)</u>	<u>8,495,020</u>
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები				
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	2,660,039	(1,221,167)	(14,297)	1,424,575
ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		306,626		-
სხვა ვალდებულებები	607,308			306,626
	<u>3,267,347</u>	<u>(914,541)</u>	<u>(14,297)</u>	<u>607,308</u>
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი აქტივები	<u>(2,336,233)</u>	<u>8,478,507</u>	<u>14,237</u>	<u>2,338,509</u>

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის 20%-იანი მატება/კლება გაზრდის/შემცირებს წმინდა მოგებას 820,770/ (820,770) ლარით (2022: 848,800 ლარი / (848,800)).

ლარი/ევროს გაცვლითი კურსის 20%-იანი მატება/კლება გაზრდის/შემცირებს წმინდა მოგებას 4,810/ (4,810) ლარით (2022: ლარი 2,847 / (2,847)).

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება.

თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით

მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება. კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას: დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის..

რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის რეალური ღირებულება განისაზღვრა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. საბანკო დაწესებულებებში განთავსებული დეპოზიტები დადისკონტირებულია იმ საპროცენტო განაკვეთით, რომლითაც კომპანიას განთავსებული აქვს ისინი. ფული და ფულის ექვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში.

#### 17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილსაწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მოცემულია ქვემოთ:

	2023 ოპერაციები/ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	2022 ოპერაციები/ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები გადასახდელი საკომისიო სხვა*	496,183	433,202
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები სხვა*	4,422	570
	16,773	77,779

### 18. პირობითი ვალდებულებები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს მიმდინარე სამართლებრივი დავები, სადაც კომპანია მოპასუხეა. სარჩელი დაკავშირებულია ზარალებთან, ასევე თანამშრომლების კომპენსაციასთან. სადავო თანხა, ყველა მიმდინარე სასამართლო საქმის გათვალისწინებით, შეადგენს 611,749 ლარს (2022 წელი: 716,496 ლარი). ზემოაღნიშნული სარჩელების ნაწილი განხილვის პროცესშია, ხოლო ნაწილი - გასაჩივრებულია და ელოდება დანიშნავს სააპელაციო სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასებიდან და საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილების ალბათობაზე დაყრდნობით, მენეჯმენტი თვლის, რომ საბოლოო პასუხისმგებლობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ქმედებიდან ან საჩივრებიდან გამომდინარე, არ მოახდენს არსებით უარყოფით გავლენას ფინანსურ მდგომარეობაზე ან კომპანიის მომავალი ოპერაციების შედეგებზე. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვი არ არის შექმნილი.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.



სს „სადაზღვევო კომპანია პრაიმი“

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

**19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.